ხელშეკრულება № 41

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 13 თებერვალი 2014 წ.

ერთის მხრივ გარდაბნის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ონიანის სახით, და მეორეს მხრივ სსიპ "სმართ ლოჯიქი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ სხირტლაძის სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4. "მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.

5. "მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

მიმწოდებელი

სსიპ "სმართ ლოჯიქი"

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება”) _ ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. აღნიშნული ხელშეკრულებისათვის “შემსყიდველი” ნიშნავს გარდაბნის მუნიციპალიტეტს;

1.4. აღნიშნული ხელშეკრულებისათვის “მიმწოდებელი” ნიშნავს სსიპ “სმართ ლოჯიქს”.

1.5. “IT მხარდაჭერა” - კომპიუტერების, პერიფერიული მოწყობილობების და სერვისების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან პროვაიდერული მომსახურებების შესყიდვა. კერძოდ: IT მხარდაჭერის მომსახურების გაწევა, არსებული პროგრამული უზრუნველყოფების მხარდაჭერა, განახლება და სხვა სერვისების მიწოდება დანართი #1-ის შესაბამისად.

2.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების გაწევა დაიწყება წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში და განხორციელდება 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილი - ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის #73, #127

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 22 000 (ოცდაორი ათასი) ლარს.

4.2. ერთ თვეში გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 2 000 (ორი ათასი) ლარს.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.4. ხელშეკრულების ღირებულება არ მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მოცემული სერვისების ხარისხიანად მიწოდების უზრუნველსაყოფად ტექნიუკური აღჭურვილობის ან მისი დაზიანების შედეგად გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას;

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება ყოველკვარტალურად, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი.

5.3. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაც უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3. მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას განესაზღვრება გონივრული ვადა დარღვევის გამოსწორებისთვის. მითითებულ ვადაში დარღვევის გამოუსწორებლობის შემთხვავში დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.5% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

7.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

9.1. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიწყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიმწოდებელს აცნობოს პროვაიდერული მომსახურების მიღებაზე მზადყოფნა;

ბ) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;

გ) გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3. ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

12.1. ხელშეკრულების დადების საფუძველი არის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N929 განკარგულება.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს მიმწოდებელს 15 დღით ადრე შეწყვეტამდე.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	სსიპ "სმართ ლოჯიქი"
მის: ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის №73	
	საიდ. კოდი: 206350599
საიდენტიფიკაციო კოდი: № 226573204	ტელეფონი 240 58 18
სს „ლიბერთი ბანკი"-ს	მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. #24ა
ანგარიშსწორების ანგარიში: № GE59LB0120137100012000	სს "საქართველოს ბანკი"
გარდაბნის მუნიციპალიტეტის	
საკრებულოს თავმჯდომარე	ა/ა GE15BG0000000586945600
ზაზა ონიანი	დირექტორი მალხაზ სხირტლაძე

IT მხარდაჭერის მომსახურება

IT მომსახურება ხორციელდება სატელეფონო ცხელი ხაზის, მოშორებული წვდომის და ინციდენტის მოგვარება IT მხარდაჭერის თანამშრომლის რესურსის გამოყენებით.

კომპიუტერული მხარდაჭერა მოიცავს კომპიუტერის ოპერაციული სისტემის (Microsoft Windows 7) გამართული მუშაობის უზრუნველყოფას. ასევე პრინტერების/სკანერების მხარდაჭერას.

სერვისების სია:

ერთიანი კორპორატიული მონაცემთა ბაზა და ავტორიზაციის მოდული
ქსელური სერვისები ინტერნეტ პროვაიდერიდან ოფისამდე და ჩართვები ლოკალურ დონეზე
მაღალხარისხიანი კავშირი სხვა სახელმწიფო უწყებებთან
საფოსტო სერვისი (Microsoft Exchange-ის გამოყენებით)
Spam eMail ფილტრაცია
კორპორატიული შეხვედრების ორგანიზატორი
დავალებების ორგანიზატორი(Task Management)
საკომუნიკაციო და საკონფერენციო სერვისი (Microsoft Lync-ის გამოყენებით)
ვიდეო კონფერენცინგი გარე მომხმარებლების ჩართვის ფუნქციონალით
კორპორატიული დაცვა ვირუსებისაგან
დაცვა ჰაკერული შეტევებისაგან
ანტივირუსის სერვისი
I დონის ინტერნეტი (სახელმწიფო და საინფორმაციო ვებ საიტებზე წვდომა)
ინტერნეტ ფილტრაციის სერვისი (Microsoft TMG-ის გამოყენებით)
VoIP ტელეფონია (არ შედის ტელეფონების აპარატები)
ქოლ-ცენტრის მენეჯმენტი
ონლაინ მხარდაჭერის სერვისი
ადგილზე მხარდაჭერის სერვისი
პრინტერების/სკანერის მომსახურება
სმარტფონების მომსახურება
კომპიუტერების მხარდაჭერა

ინტერნეტ პაკეტები:

II დონის ინტერნეტ წვდომა: სრული ინტერნეტ წვდომა გარდა გასართობი და სხვა ვებ გვერდებისა
III დონის ინტერნეტ წვდომა თანამშრომლებისათვის: II დონეს დამატებულია ფეისბუქი და ვიდეო სტრიმინგი
IV დონის ინტერნეტ წვდომა მენეჯმენტისთვის: იბლოკება მხოლოდ ვირუსების შემცველი და ხაკერული ვებ საიტები

"შემსყიდველი"

გარდაბნის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაზა ონიანი

"მიმწოდებელი"

სსიპ "სმართ ლოჯიქი"

დირექტორი

მალხაზ სხირტლაძე